პროექტი

საქართველოს მთავრობის დადგენილება

კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონების დამტკიცების შესახებ

კურორტ სურამის ბუნებრივი სამკურნალო რესურსების (კლიმატი, მინერალური წყლები) თვისებების შესანარჩუნებლად, მათი გამოფიტვისა და დაბინძურების თავიდან აცილების, ტერიტორიაზე საწარმოთა განთავსებისა და მოსახლეობის განსახლების საკითხების მოწესრიგების მიზნით:

1. დამტკიცდეს:
   ა) კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონები;
   ბ) რეჟიმი კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონებში;
   გ) ამკრძალავი ღონისძიებები კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონებში;
   დ) სანიტარიულ–გამაჯანსაღებელი ღონისძიებების თანდართული გეგმა.
2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ( ) ხაშურის მუნიციპალიტეტთან ერთად უზრუნველყოს სანიტარიული დაცვის ზონებში დადგენილი რეჟიმის დაცვა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს ამ საკითხზე რეკომენდაციების გაცემა და გასატარებელ ღონისძიებათა კოორდინაცია.
3. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ( ) სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტმა ( ) ხაშურის მუნიციპალიტეტთან ერთად გაითვალისწინონ კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონები და მათი რეჟიმი ყველა სახის საპროექტო ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავებისას (მათ შორის გენგეგმის) როგორც ერთ–ერთი გეგმარებითი შემზღუდავი მნიშვნელოვანი პირობა.
4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ( )და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ( )ხაშურის მუნიციპალიტეტთან ერთად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონების ფარგლებში გათვალისწინებული ამკრძალავი და სანიტარიულ–გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განხორციელება მითითებული ვადების ჩვენებით.
5. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნულ სატყეო სააგენტომ ( ) უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება მითითებული ვადების გათვალისწინებით. დაფიქსირდეს კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის პირველი, მეორე და

მესამე ზონის საზღვრები. ფუნქციონალური ზონების საზღვრებად ძირითადად მიჩნეული იქნას ბუნებრივი მიჯნები (მდინარე, ხევი, ღელე და სხვა) სხვა შემთხვევაში–გზები, რკინიგზა და მუდმივი ბილიკები.

6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ( ) ქონების ეროვნულმა სააგენტომ ხაშურის მუნიციპალიტეტთან ერთად აკრძალოს სანიტარიული დაცვის მეორე ზონაში, ხელოვნურად გაშენებულ ტყეებში, მიწების გასხვისება.
7. დადგენილებაზე კონტროლი განახორციელოს საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ( ) სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტმა ( ).

საქართველოს პრემიერ მინისტრი გ. გახარია